სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

43242442558425

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251280795

რეგისტრაციის თარიღი

22.09.2025 წ

ნოტარიუსი: დიანა სვანაძე
მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109
ტელეფონი: 2 95 77 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

დღეს, **ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდაორ სექტემბერს,** ნოტარიუს დიანა სვანაძეს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109-ში, მომმართა მოქალაქე **ავთანდილ გუნდაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს **„დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი~-ს** (საიდენტიფიკაციო # 204379369) დირექტორი და სურს მინდობილობით შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭოს **ზაზა ბასილაძეს.** აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად **ავთანდილ გუნდაძემ (დაბ. 25.03.1986 წ, პ/#61009009015, რეგ. ქალაქი ბათუმი, ივანე მესხის II ჩიხი, N 78),** მომმართა.

მე დავადგინე მისი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „ **დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი~-ს დირექტორი,** თანახმად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერისა, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი B25070596, 08/05/2025 15:46:44, საიდენტიფიკაციო # 204379369 .

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, მან წაიკითხა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა მინდობილობას, რასაც ვადასტურებ:

მინდობილობა

მე, **ავთანდილ გუნდაძე,** როგორც შპს **„დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი~-ს** (საიდენტიფიკაციო # 204379369) დირექტორი, უფლებამოსილებას ვანიჭებ **ზაზა ბასილაძეს** (დაბ. 11.11.1982 წ., პირ. # 41001006464), იყოს კომპანიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქალაქ თბილისის და ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ქალაქ თბილისის და ნებისმიერი მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საკრებულოში, მათ შორის საკუთრების აღიარების კომისიაზე, გამგეობაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, თანხმობა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალებების შესრულებასთან,

მინდობილობა გაცემულია 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში, რომელსაც თან ერთვის სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი, ხოლო ორი მიეცა მიმნდობს.

გადახდილია საზღაური _ 30.00 ლარი + დ.ღ.გ. 5.4 ლარი + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, სულ _ 40.40 ლარი, თანახმად `სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 31 და 39 მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად.

შპს „ დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი~-ს დირექტორი: ავთანდილ გუნდაძე

ნოტარიუსი: _____ დიანა სვანაძე